



ფინანსთა
სამინისტრო



შემოსავლების
სამსახური

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის

2019 წლის
ანგარიში



ურთიერთობა მართვია

ფინანსთა საბინისტროს
შემოსავლების სამსახურის
2019 წლის
ანგარიში

სტრატეგიული მიზნები	9
შემაჯამებელი მიმოხილვა	10
2019 წელს შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები	11
მნიშვნელოვანი ღონისძიებები	13
2019 წლის პრიორიტეტული მიმართულებები	15
I. საგადასახადო რეგისტრაცია	15
II. დროული დეკლარირება	16
III. დეკლარაციების სისწორის კონტროლი	16
გადახდელზე ორიენტირებული სერვისები	18
ვიდეო ინსტრუქციები	18
„ავტომატური +“ განცხადებები	18
თანამედროვე საბაჟო – გამართივებული ურთიერთობები	18
საგანმანათლებლო პროექტები	19
BLOCKCHAIN ინიციატივა	19
კანონმდებლობასთან დაკავშირებული სიახლეები	20
დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ავტომატური დაბრუნება	21
ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება	22
ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება	23
ინფორმაციული უსაფრთხოება	23
მონაცემთა საცავი	23
საბაჟო მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები	24
რისკზე დაფუძნებული მიდგომები	25
საბაჟო ფორმულებებზე დახარჯული დროის ქრონომეტრაჟი	26
გადასახადის გადახდელთა ინფორმირება	27
კინოლოგიის სამსახურის მიღწევები	28

ინფრასტრუქტურული პროექტები	28
ევროკავშირთან ინტეგრაცია	31
ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი (AEO)	32
საერთაშორისო ურთიერთობები	32
საგადასახადო ადმინისტრაციის ფორუმი (FTA)	32
საგადასახადო ადმინისტრაცია 2030	32
მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SMEs)	33
სარტყელი და გზის ინიციატივა	33
თანამშრომლობა იტალიის საგადასახადო ადმინისტრაციასთან	33
შავიზღვის ქვეყნების რეგიონული შეხვედრა	33
პარტნიორი ორგანიზაციები	34
სტატისტიკური მონაცემები	36
ინსტიტუციური მაჩვენებლები	36
საბაჟო მიმართულება	37
საგადასახადო აუდიტის და მონიტორინგის შედეგები	49
მომსახურებები	53



პირველი რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

ვლადიმერ ხუნდაძე
შემოსავლების სამსახურის
უფროსის მოადგილე

ნინო ფოფიაშვილი
დავების დეპარტამენტის უფროსი

სოფიო არჩვანიძე
რეფორმებისა და დამატების
დეპარტამენტის უფროსი

ლევან კაკაბა
შემოსავლების სამსახურის უფროსი

ნინო ყველაშვილი
ადამიანური რესურსების მართვისა
და განვითარების დეპარტამენტის
უფროსი

გურამ ძნელაშვილი
შემოსავლების სამსახურის
უფროსის მოადგილე

ირაკლი მართავა
შემოსავლების სამსახურის
უფროსის მოადგილე

მეორე რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

ლევან დგებუაძე
მომსახურების დეპარტამენტის
უფროსი

ლევან წითელაშვილი
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი

თეიმურაზ ბაბაძე
სამგადასახადო მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი

რომან ბულაძე
სამგადასახადო და საბაჟო
მეთოდოლოგიის დეპარტამენტის
უფროსი

მესამე რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

გიორგი ბუბუთიშვილი
შიდა აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ნოდარ კაკრიაშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრის უფროსი

ლევან ბერაძე
სამსახურებრივი მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი

პაატა კილაძე
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

მამუკა ჯანგულაშვილი
საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

ზვიად პაკიძე
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

გაბაღ თყეშელაშვილი
ანალიტიკური დეპარტამენტის
უფროსი

გიორგი კობეშვიძე
საერთაშორისო ურთიერთობათა
დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე



REVE
SERV

გეოგრაფიული
სამსახური





ლევან კაკავა

საქართველოს ფინანსთა
სამინისტროს შემოსავლების
სამსახურის უფროსი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახელით, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ 2019 წლის განმავლობაში განეული საქმიანობის ანგარიში, რომელშიც გაეცნობით ჩვენი უწყების მიერ გატარებულ სამუშაოებსა და მიღწევებს.

2019 წელს, ჩვენ მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელეთ და მრავალი სიახლე დავანერგეთ შემოსავლების სამსახურის საქმიანობაში. მთელი ჩვენი ძალისხმევა გადასახადების ადმინისტრირების, საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულების, ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრის, სამართალდარღვევათა პრევენციის და რაც მთავარია, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის პირობების გასაუმჯობესებლად მივმართეთ.

გამოვხატავ დიდ პატივისცემას გადასახადის გადამხდელებისადმი, რომლებიც თანამშრომლობდნენ ჩვენთან, გვეხმარებოდნენ რჩევებითა და საქმიანი შენიშვნებით.

მინდა დავადასტურო პირადად ჩემი მზაობა, მაქსიმალურად ვიყო ჩართული სამოქალაქო და ბიზნეს საზოგადოებასთან დიალოგში. სწორედ ასეთი კომუნიკაციით და რეფორმებით დაჩქარდება ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში და ეს ზრდა თითოეულ ჩვენ მოქალაქეზე აისახება.

მსურს, მაღლობა გადავუხადო პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერისათვის და იმედს გამოვთქვავ, რომ მომავალშიც ჩვენი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი და ეფექტური.

ასევე, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო შემოსავლების სამსახურის ყველა საგადასახადო ოფიცერს, ეკონომიკური საზღვრის დამცველ მებაჟე ოფიცერს, აუდიტორს, სტაჟიორს, ასისტენტსა და სპეციალისტს 2019 წლის მანძილზე განეული თავდაუზოგავი შრომისათვის.

დარწმუნებული ვარ, პროფესიონალიზმითა და ქვეყნისადმი ერთგულებით, ერთად გავაგრძელებთ დემოკრატიული, ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს შენებას.

შემოსავლების სამსახურს, განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქვეყნის ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების განმახორციელებელს და შეიძლება ითქვას, მისი საქმიანობა გავლენას ახდენს საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე. სწორედ ამიტომ, ჩემთვის დიდი პატივია ვუხელმძღვანელო ასეთ მნიშვნელოვან უწყებას და ჩვენს გუნდთან ერთად ძალისხმევას არ დავიშურებთ, მომავალშიც შემოგთავაზოთ ისეთი ხარისხის სერვისები, როგორსაც თქვენ - საქართველოს მოქალაქეები იმსახურებთ.



მიზნები

სამართლიანი და გამჭვირვალე ადმინისტრირებითა და მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევით, საბიუჯეტო შემოსულობების მობილიზება.

ეკონომიკური, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის დონისძიებებში მონაწილეობის მიღება.



ხედვა

ჩვენ, როგორც ღია, მდგრადი და განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტი, ვინარჩუნებთ რა ადმინისტრირების მაღალ სტანდარტს, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, ვქმნით მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის წასახალისებლად.

ლირიკულებები

პროფესიონალიზმი - კანონით დაკისრებული ვალდებულებების ხარისხიანად და ეფექტურად შესრულება.

კეთილსინდისიერება - სამსახურის თითოეული თანამშრომლის ქმედება დამყარებული უნდა იყოს პატიოსნებასა და სამართლიანობაზე.

გამჭვირვალობა - სამსახური ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობა.

ინოვაციურობა - სამსახურის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია რეგულარულად ხდებოდეს მუშაობის ახალი და თანამედროვე მეთოდების შექმნა/დახვეწა.



ნებაყოფლობითი
კანონშესაბამისობის
მხარდაჭერა

სამსახურის
ინსტიტუციური
განვითარება
და მდგრადობა

ევროკავშირთან
ინტეგრაციული
პროცესების
მხარდაჭერა

შემოსავლების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში მოიცავს 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებისა და განხორციელებული სტრატეგიული პროექტების შესახებ ინფორმაციას. ასევე, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული საოპერაციო საქმიანობის ძირითად სტატისტიკას და სხვა მნიშვნელოვან მიღწევებს.

2019 წლის სამოქმედო გეგმით განხორციელებული აქტივობები წარმოადგენს სამსახურის 2017-2020 წლების სტრატეგიით დამტკიცებული, სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის განსაზღვრული ამოცანებისა და პროექტების ერთობლიობას. სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სამსახურის 2019 წლის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა შემდეგი ძირითადი ფუნქციების გაუმჯობესება:

- ▶ საგადასახადო რეგისტრაცია;
- ▶ დროული დეკლარირება;
- ▶ დეკლარაციების სისწორის კონტროლი.



2019 წელი მნიშვნელოვანი იყო საბაჟო მიმართულებით განხორციელებული რეფორმებითაც. ევროკავშირთან ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ამოქმედდა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო ფორმალობების ევროკავშირის სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოებასა და საბაჟო რეგულირების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული გარემოს შექმნას. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ახალი საბაჟო კანონმდებლობითაც სრულად პასუხობს ევროსტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობაში, გახდება მნიშვნელოვანი სტიმული ევროკავშირიდან ინვესტიციების მოსაზიდად და ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის ინტეგრაციას ევროკავშირის ბაზარზე.



გარდა ზემოაღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებისა, სამსახურის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებული იყო შიდა ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებასა და არსებული ბიზნეს პროცესების დახვეწასთან, რაც ძირითადად მიმდინარეობდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, სამსახურის სტრატეგიული პარტნიორის - საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მხარდაჭერით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და შემოსავლების სამსახურის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შემუშავდა მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისობაშია შემოსავლების სამსახურის სტრატეგიულ მიზნებთან და წარმოადგენს სამსახურის ხედვას შესაბამისი მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებზე.





2019 წელს განხორციელებული პროექტები, გადასახადების ადმინისტრირების რაოდენობრივ ნაწილზე დადებითად აისახა. საგადასახადო შემოსავლები, როგორც წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით, ასევე, 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან მიმართებით გაიზარდა. 2019 წლის მთლიანი საგადასახადო შემოსავლები - 9%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს, ხოლო საპროგნოზო მაჩვენებელს 1%-ით აჭარბებს.



▲ IOTA¹ -ს კონფერენცია

2019 წლის 16-17 ოქტომბერს, თბილისში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერითა და საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა ევროპული ორგანიზაციის (IOTA) ეგიდით, საგადასახადო კანონმდებლობის ტექნოლოგიური გადაწყვეტის საკითხისადმი მიძღვნილი წლიური კონფერენცია და მასშტაბური ტექნოლოგიური გამოფენა გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საერთაშორისო საგადასახადო ადმინისტრაციები და კერძო IT კომპანიების მიერ შექმნილი 50-მდე უახლესი პროგრამული პროდუქტი. ღონისძიება გახსნეს IOTA-ს აღმასრულებელმა მდივანმა, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ და შემოსავლების სამსახურის უფროსმა. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა IOTA-ს ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგადასახადო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძო სექტორის 150-ზე მეტი წარმომადგენელი. გაიმართა ტექნოლოგიური გამოფენა, რომლის გამარჯვებულად დასახელდა შემოსავლების სამსახურის მიერ შექმნილი „საგადასახადო უბნის ოფიცერთა აპლიკაცია“.



▲ #გააზიარეცოდნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“ (სტეფანწმინდა) გაიმართა. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ უნიკალურ ფოტო მასალას, დაეთვალიერებინათ და შეეძინათ ადგილობრივი მეწარმეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები. ღონისძიებაზე სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის 30 თანამშრომელს მადლობის სიგელი გადაეცა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ცოდნის გაზიარებას და მის მნიშვნელობას ეძღვნებოდა. მთავარ სლოგანს წარმოადგენდა #გააზიარეცოდნა, რომლის ფარგლებში, საგადასახადო ცნობიერების ამაღლების მიზნით, სტუდენტებისთვის და საშუალო სკოლის მე-11-მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის შემეცნებითი სემინარები ჩატარდა.



¹ IOTA -Intra-European Organization of Tax Administrations

▲ საბაჟოს საერთაშორისო დღე

26 იანვარს, საბაჟოს საერთაშორისო დღე აღინიშნა. ღონისძიების სლოგანს წარმოადგენდა „სწრაფი და მოქნილი საზღვრები შეუფერხებელი ვაჭრობის, მგზავრობისა და ტრანსპორტირებისთვის“. საბაჟოს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მაღალი პროფესიონალიზმის, განუვლი შრომისა და თავდადებისთვის, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) მიერ დაწესებული ღირსების მონუმბები სამსახურის 18 თანამშრომელს და პარტნიორ უწყებებს გადაეცათ.



▲ ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS)

12 ივლისს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (დამმობილების) პროექტის „სატრანზიტო სფეროში ევროკავშირის კონვენციებთან საქართველოს მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) ამოქმედების მხარდაჭერა“ ფარგლებში ცნობადობის ამაღლებისადმი მიძღვნილი ფორუმი გაიმართა. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ პარტნიორი ქვეყნების (ლატვიის, ფინეთისა და პოლონეთის) საბაჟო ადმინისტრაციების ექსპერტები. არსებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, ფორუმს თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ეწვია.

▲ შეხვედრები ბიზნეს ასოციაციებთან

2019 წელს, შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლებთან 18 სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესაუბრათ ბიზნესის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე. ასევე, გაცნობოდნენ დამატებული ღირებულის გადასახადით დაბეგვრის ახალ რეგულაციებს. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა კომპანიები, მათ შორის, საქართველოს



ბიზნეს ასოციაცია (BAG), საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA), საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა (AmCham Georgia), საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, საქართველო-ევროპის ბიზნეს საბჭო (EUGBC), ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA Georgia), გადასახადის გადამხდელთა კავშირი (TPU), საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაცია, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების, სათამაშო ბიზნესის ასოციაცია, ქართველ და თურქ ბიზნესმენტთა ასოციაცია, ევროპული სავაჭრო პალატების წარმომადგენლები, ბიზნეს ლიდერთა ფედერაცია „ქალები მომავლისთვის“, საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები.

პერიოდულ რეჟიმში, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ბიზნესის წარმომადგენლებთან, საკონსულტაციო სახის შეხვედრები საბაჟო თემატიკაზე იმართებოდა, სადაც, ერთი მხრივ, საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები და მათი გადაჭრის გზები განიხილებოდა. მეორე მხრივ, კი ბიზნეს სექტორი ეცნობოდა საბაჟო მიმართულებით განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ საკანონმდებლო და პროცედურულ ცვლილებებს.

2019 წელს, საგადასახადო ადმინისტრირების რეფორმის ფარგლებში, განისაზღვრა სამი პრიორიტეტული მიმართულება და შემუშავდა კონცეფციები, რომლის ფარგლებში დაგეგმილი პროექტები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგადასახადო ადმინისტრირების არსებულ პროცესს:

- ▶ საგადასახადო რეგისტრაციის კონცეფციის განხორციელება, ხელს შეუწყობს გადასახადის გადამხდელთა სანდო ბაზის არსებობასა და სამსახურის მიერ დაგეგმილი ადმინისტრაციული ქმედებების თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ განხორციელებას;
- ▶ დროული დეკლარირების პროგრამა უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა მიერ დროული დეკლარირების მაჩვენებლის ზრდას;
- ▶ დეკლარაციების სისწორის კონტროლი მიზნად ისახავს აუდიტის პროცესში თანამედროვე მიდგომების გამოყენებასა და მეტი დისტანციური კონტროლის შესაძლებლობას.



I. საგადასახადო რეგისტრაცია

გადასახადის გადამხდელთა სარეგისტრაციო მონაცემების ეფექტიანად მართვის მიზნით, 2019 წლის მეორე ნახევარში, შემოსავლების სამსახურმა განახორციელა საგადასახადო რეგისტრაციის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთა შესახებ სამსახურში არსებული მონაცემების სანდოობის უზრუნველყოფას. პროექტის ფარგლებში შემუშავდა საგადასახადო რეგისტრაციის კონცეფცია და „გადასახადის გადამხდელების შესახებ მონაცემთა მართვის“ სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს:

- ▶ გადასახადის გადამხდელთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების პრინციპებს;
- ▶ გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემთა სანდოობის უზრუნველსაყოფ ღონისძიებებს;
- ▶ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო რეგისტრაციის არმქონე პირებზე რეაგირების ძირითად მიდგომებს.

შეიქმნა ორბიჯიანი ავტორიზაციის პროცესი, რაც უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის ელექტრონული სერვისების გვერდზე მომხმარებლის უფლებების, უსაფრთხოებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას და გადასახადის გადამხდელის შესახებ განახლებული მონაცემებით საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესებას.


განახლდა გადასახადის გადამხდელის არსებული საინფორმაციო ბარათი, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედი და უმოქმედო გადასახადის გადამხდელების გამიჯვნას, მათი ძირითადი საქმიანობის, დეკლარაციების ჭრილში ინფორმაციის, მართვის ადგილისა და ობიექტის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისთვის. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს გადამხდელთა შესახებ სრულყოფილი და ზუსტი მონაცემთა ბაზის არსებობას და წარმოსადგენი საგადასახადო დეკლარაციების ზუსტი მოლოდინის განსაზღვრას.

II. დროული დეკლარირება

გადასახადის გადამხდელთა კანონშესაბამისობის ზრდის მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა დეკლარირების დროულობის ხელშეწყობის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს სამსახურის ერთიან ხედვას დეკლარირების პროცესში გადასახადის გადამხდელთან კომუნიკაციის ფუნდამენტური მიდგომების შემუშავების და მიზანმიმართული ქმედებების განხორციელების თაობაზე.

კონცეფციაზე დაყრდნობით, მომზადდა და დამტკიცდა „დროული დეკლარირების ხელშეწყობის შიდა ინსტრუქცია“. დროული დეკლარირების პროგრამა უკვე ვრცელდება შემდეგ ძირითად გადასახადებში:

- ▶ დამატებული ღირებულების გადასახადი;
- ▶ მოგების გადასახადი;
- ▶ საშემოსავლო გადასახადი;
- ▶ ფიზიკური პირის ქონების გადასახადი.





შემოსავლების სამსახურმა, დროული დეკლარირების პროგრამის ფარგლებში, დეკლარაციის წარმოდგენის ვალდებულება შეახსენა - 65,000 გადამხდელს, რაც დაახლოებით - 450,000-მდე გაგზავნილ შეტყობინებას და განხორციელებულ სატელეფონო ზარს მოიცავს.

III. დეკლარაციების სისწორის კონტროლი

შემოსავლების სამსახურმა, 2019 წლის დასაწყისში, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და შემოსავლების ეფექტიან მობილიზების ხელშეწყობის მიზნით, დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამის კონცეფციის პროექტი შეიმუშავა.

დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამის მიზანი

- ▶ რისკზე დაფუძნებული მიდგომით თემატური საგადასახადო შემოწმების რაოდენობის ზრდა და ეტაპობრივად გასვლითი საგადასახადო შემოწმების შემცირება;
- ▶ ადამიანური და დროითი რესურსის დაზოგვა, როგორც სამსახურისთვის ასევე გადასახადის გადამხდელისთვის.




ახალი პროგრამის მიხედვით, საგადასახადო აუდიტის დაგეგმვისას პრიორიტეტულია თემატური შემოწმებები და კონკრეტულ დეკლარაციათა კონტროლი, ნაცვლად რამდენიმე წლის საგადასახადო ვალდებულებების ერთდროული შემოწმებისა. აღნიშნული მნიშვნელოვანია, როგორც გადამხდელთათვის, რომლებიც დროულად ხდებიან ინფორმირებული კანონმდებლობით დაკავშირებით, ასევე შემოსავლების სამსახურის რესურსების ეფექტიანად გამოყენების და გადასახადების ადმინისტრირების ეფექტიანობის გაზრდის მხრივ.

პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს დაიწყო საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტიანად წარმართვისა და მონიტორინგის, დროითი და ადამიანური რესურსების რაციონალური გადანაწილების ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა. ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაში განსაზღვრულია ჩასატარებელი შემოწმების ყველა ეტაპი დაგეგმვიდან დასრულებამდე.

თანამედროვე სტანდარტების გამოყენება აუდიტში



ტრანსფერფრაიზინგის (Transfer Pricing) მიმართულებაზე მომუშავე თანამშრომლები გადამზადდნენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია OECD-ის სტანდარტების შესაბამისად. გაიმართა შეხვედრები იტალიის საგადასახადო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სადაც შემოსავლების სამსახურის აუდიტორებმა გაიზიარეს ინფორმაცია MAP/APA-ს მარეგულირებელი ნორმების შესახებ და გამოცდილება MAP/APA-ს დანერგვის პროცესთან დაკავშირებით.



გადახედულზე ორიენტირებული სერვისები

შემოსავლების სამსახურის სერვისების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების მიზნით, სერვისების განვითარების სტრატეგია შეიქმნა. ეფექტური და ეფექტიანი დისტანციური სერვისების განვითარების კუთხით განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს გადასახადის გადამხდელთა კანონშესაბამისობის ამაღლებას. ახალი, მოქნილი ელექტრონული სერვისების გამოყენება ამარტივებს გადამხდელებთან კომუნიკაციას და უზრუნველყოფს მომსახურების პროცესისთვის საჭირო ადმინისტრაციული და დროითი რესურსის დაზოგვას, როგორც საგადასახადო ადმინისტრაციისთვის, ისე გადასახადის გადამხდელისთვის.

ვიდეო ინსტრუქციები

გადასახადის გადამხდელთა საჭიროების გათვალისწინებით მომზადდა ვიდეო ინსტრუქციები, რაც მიზნად ისახავს გადამხდელთა ცნობიერების ამაღლებას შემდეგ საკითხებზე:

- ▶ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ სამშემოსავლო გადასახადის თვიური ან/და წლიური დეკლარაციის წარმოდგენა;
- ▶ წინასწარი დეკლარირება საბაჟოზე;
- ▶ მომხმარებლის გვერდის ადმინისტრირება - სავალდებულო ორბიტიანი ავტორიზაცია;
- ▶ მომხმარებლის გვერდის ადმინისტრირება - ქვე-მომხმარებლის რეგისტრაცია;
- ▶ ფიზიკური პირის ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენა;
- ▶ საგადასახადო ვალდებულებები ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის (სახლის) რეალიზაციისას;
- ▶ საგადასახადო ვალდებულებები არა მენარმე ფიზიკური პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციისას;
- ▶ შეღავათები უცხოეთში 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსვლისას;
- ▶ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია.

„ავტომატური +“ განცხადებები

გადასახადის გადამხდელთათვის გამარტივებული მომსახურების შეთავაზების მიზნით იდენტიფიცირებულია დამატებით 13 „ავტომატური +“ განცხადება. 2019 წელს მომზადდა დამატებით 2 „ავტომატური+“ განცხადება, რომელზეც გადასახადის გადამხდელი პასუხს ავტომატურ რეჟიმში მიიღებს.

თანამედროვე საბაჟო - გამარტივებული ურთიერთობები

საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სარფი“, ორ ქვეყანას შორის მგზავრთა გადასასვლელი დერეფანი ოფიციალურად გაიხსნა. ჩატარდა საქართველოსა და თურქეთის დელეგაციების ორმხრივი შეხვედრა. მაღალი პროფესიონალიზმისა და განსაკუთრებული სირთულის დავალების კეთილსინდისიერად შესრულებისთვის მებაჟე ოფიცრები დაჯილდოვდნენ. განახლებული ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მოქალაქეთა კომფორტულ გადაადგილებისა და ფორმალუბების გამარტივებას.

▲ საგანმანათლებლო პროექტები


საგადასახადო კულტურის ამაღლების და განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის და საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა 80 საგანმანათლებლო შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრებს ჯამში 2,000 სკოლის მოსწავლე დაესწრო.

შედგა 13 საგანმანათლებლო ტური 4 საბაჟო გამშვებ პუნქტზე, 3 გაფორმების ეკონომიკურ ზონასა და 5 სერვისცენტრში, რომელშიც 500 სტუდენტი მონაწილეობდა.

სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია საზღვრის კვეთისა და საქონლის გაფორმების ფორმალობების, განხორციელებული რეფორმებისა და სიახლეების შესახებ.

ეროვნული უმცირესობების უკეთ ინფორმირების მიზნით, შემოსავლების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან გაზეთებთან. 2019 წლის განმავლობაში 60 საინფორმაციო სტატია გამოქვეყნდა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მიმდინარე წლის 7 და 14 ნოემბერს, ახალქალაქის და ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ადგილობრივ მოსახლეობასა და საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის შეხვედრა გაიმართა, რომელიც ემსახურებოდა მათ ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას ექსპორტისა და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურების (იმპორტის) მიმართულებით.



▲ BLOCKCHAIN ონბიკატივა

სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან, წარმოშობის სერტიფიკატის ვერიფიკაციის პროცესის დახვეწის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს უნივერსიტეტის ხელშეწყობით, 2019 წელს, შემოსავლების სამსახურში განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს წარმოშობის სერტიფიკატის ავთენტურობის დადგენას Blockchain სისტემის საშუალებით. დღევანდელი მდგომარეობით, განხორციელებულია პირველი წარმოშობის სერტიფიკატის ტრანზაქცია რეალურ სივრცეში.

პროექტი Blockchain სისტემის დანერგვა გულისხმობს, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატის ჰეშის (Digest Value) კალკულაციას და შემდეგ ტრანზაქციის სახით Ethereum Public Blockchain-ში შენახვას, ხოლო თავად ტრანზაქციის ID - ის, QR კოდით გარდაქმნას და სერტიფიკატის ქალაქურ ვერსიაზე დატანას.

შედეგად, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატის მონაცემები, ერთი მხრივ განთავსდება სამსახურის სასერვერო ინფრასტრუქტურაში, ხოლო იგივე სერტიფიკატის უნიკალურობის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი-ჰეში (Digest Value) Ethereum Public Blockchain-ში განთავსდება.

იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ოფიცერი, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატის ვერიფიკაციას და მონაცემების გადამოწმებას შეძლებს, სპეციალიზირებული აპლიკაციის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ განახორციელებს ჰეშების (Digest Value) შედარებას და შემდეგ, სერტიფიკატის მონაცემების დეტალური ინფორმაციის ვიზუალიზაციას.

წარმოშობის სერტიფიკატის ვერიფიკაციის ახალი სისტემა უცხო ქვეყანაში საქონლის შეტანასთან დაკავშირებულ დროით რესურსს მნიშვნელოვნად დაზოგავს. ამავე დროს, პროექტს, იმპორტ/ექსპორტთან დაკავშირებული სხვა პროცესების ინტეგრაციის გზით, განვითარების მრავალი შესაძლებლობა გააჩნია.

კანონმდებლობასთან დაკავშირებული სიახლეები

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დახვეწისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა. აღსანიშნავია ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედება, რაც აერთიანებს ახალ მიდგომებსა და პროცედურებს საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებით. დამტკიცდა ინსტრუქციები „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს საბაჟო ფორმალობებს, ამცირებს დანახარჯებს კერძო სექტორისათვის და უზრუნველყოფს სტაბილურ ბიზნეს გარემოს. მაგალითად, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის უზრუნველყოფის, სასაქონლო სახის/მდგომარეობის გაუმჯობესების, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით დასაშვები ქმედებების ჩამონათვალი.

ახალი საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეებს, საბაჟო პროცედურების გამარტივების მიმართულებით:

- ▶ დანერგილია გაფორმების ახალი წესები და დეკლარირების ფორმები;
- ▶ შექმნილია გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების შესაძლებლობა;
- ▶ საბაჟო გადანაცვტილების მიღების დროს, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მენარმის ინტერესები;
- ▶ შექმნილია მნიშვნელოვანი წინაპირობა, ბიზნესმა გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით ისარგებლოს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში.

2019 წელს, კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით და მასთან შესაბამისობისთვის განხორციელდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დამუშავება და დამტკიცება. განახლდა იმპორტის გადასახადებისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ნუსხა და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის დანართებით გათვალისწინებულ ჩამონათვალთან.

▲ საბაჟო ფორმალობების გამარტივების მიმართულებით განხორციელდა:

- ▶ სამშენებლო პროექტის შემოტანისა და იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციის დანერგვა;
- ▶ სპეციალური ელექტრონული კონტროლი.

▲ საგადასახადო შემოწმების ავტო პროექტის განახლება

შემუშავდა საგადასახადო შემოწმების ახალი აქტის პროექტი და არსებითად გაუმჯობესდა დანართების ფორმები. კერძოდ, შეიქმნა დეკლარირებული მონაცემების ავტომატური შევსების შესაძლებლობა და პროცესი აუდიტის ელექტრონული საქმისწარმოების სატესტო პროგრამაში ინტეგრირდა.

დეკლარაციების დაგვიანებით წარმოდგენისას გათვალისწინებულ ჯარიმებთან დაკავშირებით, ჯარიმის განაკვეთების და გამოთვლის წესში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. აღნიშნული ჯარიმის გამოთვლის თაობაზე, მეთოდური მითითება მომზადდა.

ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ, 4 მეთოდური მითითება შემუშავდა და დამტკიცდა.

▲ საწარმოო დანაკარგების დადგენის ახალი პრინციპები


2019 წლის განმავლობაში, დადგინდა დანაკარგების ზღვრული ოდენობა სხვადასხვა სახის საქონელზე, მათ შორის: ნედლეულზე, მანუფაქტურულზე, ბეტონზე, თხევად აირზე და სხვა რამდენიმე ტექნიკური მოხმარების ნედლეულზე. აგრეთვე, ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატებისა და მცირე ელექტროსადგურებისთვის განისაზღვრა ელექტროენერგიის სასადგურე დანაკარგი.

მომზადდა უფლების დელეგირების პროექტი კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელებისათვის (ე.წ. „Good Faith“), საგადასახადო დავების პროცესის ოპერატიულად წარმართვის მიზნით. საკანონმდებლო ცვლილებით წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საგადასახადო სამართალდარღვევის განმსაზღვრელი სტრუქტურული ერთეულები, საგადასახადო დავის განხილვის გარეშე შეძლებენ საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ჯარიმისგან გაათავისუფლონ კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელები, რომლებმაც ობიექტური მიზეზების გამო დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაცია დაავიანეს.


დაგეგმილი ღირებულების გადასახადის (დღგ) ავტომატური დაბრუნება

2019 წლის თებერვლიდან ამოქმედდა დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დღგ-ის გადასახადში რისკების მართვის თანამედროვე მიდგომებს და უზრუნველყოფს დღგ-ის თანხის დაბრუნების გამარტივებულ პროცედურებს. ავტომატური დაბრუნების სისტემის ამოქმედების შედეგად, შესაძლებელი გახდა სისტემის მიერ შემოწმებულ დეკლარაციებზე თანხის დაბრუნების ვადის - 2 დღემდე შემცირება. ხოლო, რისკიანად მიჩნეული დეკლარაციების დაჩქარებული განხილვა და ხარვეზის გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელება.

2019 წელს ავტომატური დაბრუნების სისტემით დაბრუნებული დღგ-ის თანხა, სულ დაბრუნებული დღგ-ის 56%-ია. ხოლო, სულ დაბრუნებული დღგ-ის ზედმეტობა - 15 %-ით აღემატება წინა წელს დაბრუნებული დღგ-ის თანხას.



დღგ-ის ავტომატური დაბრუნების პროგრამის საშუალებით, წარდგენილი დეკლარაციებიდან გადასახადის გადამხდელთა 91%-ს შესაძლებლობა მიეცა, დღგ-ის ზედმეტობა ავტომატურად დაებრუნებინა.



აღამიანური რესურსების მართვა და განვითარება

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები, ახალგაზრდა და გენდერულად დაბალანსებული გუნდი ქმნის იმ პროდუქტს, რომელიც განაპირობებს ორგანიზაციის წარმატებას. დასაქმებული 3,719 პირიდან, ქალია - 1,852 (50%), კაცი - 1,867 (50%).


21 წლიდან - 30 წლამდე ასაკის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს - 31%-ს, 31 წლიდან - 45 წლამდე 48%-ს, 45 წლის ზევით 21%-ს.

პოტენციური თანამშრომლის მომზადებისა და მათი პროფესიული განვითარების მიზნით, შემოსავლების სამსახური ახალგაზრდებს მუდმივად აძლევს სტაჟირების (თეორიული და პრაქტიკული სწავლება) შესაძლებლობას, სტაჟირების პროგრამა წარმატებით გაიარა და მეზაჟე ოფიცრის, აუდიტორის, უბნის საგადასახადო ოფიცრის, პირადი საგადასახადო მრჩეველისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები - 168 პირმა შეიძინა.


საბაჟო დეპარტამენტის ორგანიზებით, საერთაშორისო და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით საბაჟო დეპარტამენტის 1000-მდე თანამშრომელი გადამზადდა.



დასაქმებულთა გენდერული მაჩვენებელი




დასაქმებულთა ასაკობრივი მაჩვენებლები



საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, ადმინისტრირებული ვებგვერდის www.hr.gov.ge მეშვეობით, ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის შედეგებად - 368 პირი დაინიშნა.

სამსახურის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის შემდეგ პროფესიული ტრენინგი - 664 თანამშრომელმა გაიარა.



შეიქმნა შიდა საკომუნიკაციო პორტალი - www.myrs.ge, რომლის მიზანია შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს შორის შიდა კომუნიკაციის გამარტივება და სამსახურში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ოპერატიული ინფორმირება. პორტალზე შექმნილია სხვადასხვა სივრცე, მათ შორის: იდეების ყუთი - განკუთვნილი თანამშრომლების იდეებისა და მოსაზრებების დაფიქსირებისთვის. „ახალი თანამშრომლის გვერდი“ თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და სხვადასხვა საკანონმდებლო სიახლეებს. საკომუნიკაციო პორტალის გამოყენებით, პირველად განხორციელდა თანამშრომელთა

შეფასების პროექტი. თანამშრომელთა შეფასება ორ ეტაპად განხორციელდა. ივლისის თვეში შეფასდა - 3445 თანამშრომელი, ხოლო ნოემბერში - 3563 თანამშრომელი. შეფასების სისტემის მთავარი მიზანია ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის კონსტრუქციული კომუნიკაციის ჩამოყალიბება და თანამშრომელთა ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს შედეგების გამოვლენა, რაც შესაძლებელია, გახდეს წახალისებისა და განვითარების საფუძველი.

ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება

ინფორმაციული უსაფრთხოება

შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგადი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის, მისი ძირითადი მოთხოვნებისა და სხვადასხვა კონტროლის აღწერას. დოკუმენტი მოიცავს უსაფრთხოების ზოგად პოლიტიკას, ინფორმაციის გადამტანი საშუალებების, დაშვებული გამოყენების, პაროლების მართვისა და დისტანციური წვდომის პოლიტიკებს. ასევე, ითვალისწინებს ორგანიზაციის ძირითადი ბიზნეს პროცესების მოთხოვნებს, ადგილობრივ და საერთაშორისო სავალდებულო კანონებს, რეგულაციებსა და შესაბამის დირექტივებს.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია, დაიცვას სამსახურის მიერ კანონით მინიჭებული ვალდებულებების შესრულებისას მოპოვებული კონფიდენციალური და საგადასახადო საიდუმლოების შემცველი, ნებისმიერი მატერიალური თუ ელექტრონული ფორმით არსებული ინფორმაცია. ინფორმაციის დაცვა უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობის ბიზნეს უწყვეტობასა და მის აქტივებთან დაკავშირებულ საოპერაციო რისკების შემცირებას. ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში ცნობიერების ამაღლების ონლაინ სასწავლო პლატფორმა მომზადდა.



მონაცემთა საცავი

2019 წელს დაიწყო პროექტი „მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემა“, რომლის ფარგლებშიც, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ხორციელდება სამსახურში არსებული ბიზნეს პროცესების დიჯიტალიზაცია და მონაცემთა სისტემატიზაცია, რაც გააუმჯობესებს სამსახურის ანალიტიკურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყოს სანდო ინფორმაციაზე დაფუძნებული სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებას.

საბაჟო მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

2019 წელს განისაზღვრა 4 პრიორიტეტული მიმართულება. განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფდა, როგორც საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ზრდას, ასევე, ბიზნესის ფუნქციონირებისთვის კომფორტული გარემოს შექმნას.

▲ ციფრული საბაჟო

2019 წელს მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული საბაჟო ფორმალობების გაციფრულების, მონაცემთა ელექტრონული მიმოცვლის და მატერიალურად წარსადგენი დოკუმენტების ელექტრონული ვერსიებით ჩანაცვლების მიმართულებით. აღსანიშნავია სხვა ქვეყნის შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული მონაცემების ელექტრონული გაცვლის კუთხით წარმატებული თანამშრომლობა. ციფრული საბაჟო უზრუნველყოფს გადახდელისათვის ფორმალობების გამარტივებას, საბაჟო ფორმალობებისთვის საჭირო დროის შემცირებას, ბიზნესისათვის კომფორტული გარემოს შექმნას და რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის გაძლიერებას.

▲ კანონმდებლობის სრულყოფა და ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან

საბაჟო კანონმდებლობის დახვეწა და მისი ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან მუდმივი პროცესია. ამ მხრივ, 2019 წელი განსაკუთრებულად წარმატებული იყო სხვა საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად. ძალაში შევიდა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის სტანდარტებთან და უზრუნველყოფს საბაჟო რეგულირების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ გარემოს.

▲ ინფრასტრუქტურის განვითარება

გამართული და თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი ფაქტორია ერთი მხრივ, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების, საერთაშორისო ვაჭრობისა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეწყობისთვის, მეორე მხრივ, კი ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული მიმართულებებით საზოგადოებრივ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

▲ სპეციალური თვითმომსახურების აპარატები („Tax Free“)

ინიცირებულია და მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე, რომელიც მგზავრს საშუალებას მისცემს საბაჟო გამშვებ პუნქტებში დამონტაჟებული სენსორული ეკრანით აღჭურვილი სპეციალური აპარატების საშუალებით, მისთვის სასურველ ენაზე (17 ენა) ელექტრონულად შეავსოს ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია, ასევე, გამოიძახოს და ელექტრონულად დაადასტუროს სავაჭრო ობიექტების მიერ გაცემული დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითარი („Tax Free“). აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია, როგორც საზღვარზე საბაჟო ფორმალობების გამარტივების, ასევე, მათი გაციფრულების თვალსაზრისით. შედეგად, მგზავრი თავისუფლდება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის მატერიალური ფორმის შევსებისაგან, ასევე „Tax Free“ სპეციალური ქვითრის მატერიალური ფორმის წარდგენისაგან. მომხმარებლისთვის მარტივად აღქმადი აპლიკაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ფორმალობების გამარტივებას და მათ განსახორციელებლად საჭირო დროის შემცირებას.

▲ „ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიანი ელექტრონული სისტემა“

იზრდება „ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიანი ელექტრონული სისტემაში“ ჩართულ უწყებათა რაოდენობა. სატესტო რეჟიმში ჩაერთო სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“. მიმდინარეობს მუშაობა „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) ნებართვის დამატების მიმართულებით.

ამჟამად, სისტემაში ერთიანდება 7 სახელმწიფო უწყება, რომელთა მიერ გაცემული ლიცენზია/ნებართვა/სერტიფიკატები შემოსავლების სამსახურისა და გადასახადის გადამხდელისთვის მიმდინარე რეჟიმში ხელმისაწვდომია.

ჩისკა დაუქნეული მიღომები

▲ ეფექტური საბაჟო კონტროლი - ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა

ინიცირებულია და მიმდინარეობს იმპლემენტაცია ქვეყნებს შორის საბაჟო მონაცემების ელექტრონული გაცვლის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებზე, რომელთა დანერგვა მნიშვნელოვნად გაამარტივებს საბაჟო ფორმალბებს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობას და საბაჟო რისკების მართვის სისტემის და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების ეფექტურობას აამაღლებს.

▲ სატრანზიტო სისტემის და საბაჟო ინფორმაციის ურთიერთგაცვლა

აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და „ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის (CAREC)“ სატრანზიტო სისტემის (CAREC Advanced transit System - CATS) და საბაჟო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის (Customs Information Common Exchange - ICE) პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სამმხრივი (საქართველო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა და ყაზახეთის რესპუბლიკა) ხელშეკრულების პროექტის მიზანია, ტრანზიტთან დაკავშირებული ფორმალბების გამარტივება და CAREC-ის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობა.

სატრანზიტო სისტემის (CAREC Advanced transit System - CATS) და საბაჟო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის (Customs Information Common Exchange - ICE) პროექტი გულისხმობს ტრანზიტის ერთიანი საინფორმაციო სისტემის გამოყენებას, რომლის ფარგლებშიც მონაწილე ქვეყნებს შორის მოხდება ტრანზიტული გადაზიდვების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ასევე, ტრანზიტის ერთიანი საგარანტიო სისტემის გამოყენება.

ერთიანი სატრანზიტო სისტემის ფარგლებში, წევრი ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) ეკონომიკური ოპერატორები ისარგებლებენ, როგორც ერთიანი ელექტრონული სატრანზიტო სისტემით, ასევე, გარანტიებისა და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ერთიანი მექანიზმით. სისტემის შექმნა გაამარტივებს ტრანზიტთან დაკავშირებულ ფორმალბებს და ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობას.



▲ API PNR² სისტემის დანერგვა

სისტემა გულისხმობს, სამგზავრო დოკუმენტაციის მონაცემების და ავიარეისებით მგზავრის გადაადგილების შესახებ ინფორმაციის ყველა ძირითადი ასპექტის წინასწარ რეჟიმში ხელმისაწვდომობას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რისკების მართვის შესაძლებლობებს. პროექტის ფარგლებში შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, ტექნიკური შესაძლებლობებისა და ღირებულების გათვალისწინებით შერჩეულ იქნა პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელი ჰოლანდიური კომპანია. დაფინანსებას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) უზრუნველყოფს.

▲ eTIR გამოყენების სტანდარტის დანერგვა

eTIR კომპიუტერიზაციის ფარგლებში, სატესტო რეჟიმში დაიწყო საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და ირანს შორის TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის შესახებ ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა. ხელი მოეწერა მემორანდუმს შემოსავლების სამსახურს, საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირის (IRU) და საქართველოს საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის გადამზიდვთა ასოციაციას (GIRCA) შორის, რომლის მიზანია IT სისტემებში TIR რისკების მართვის მიზნით დამატებითი IT ინსტრუმენტების დანერგვის ხელშეწყობა. სტანდარტის დანერგვაში ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით დახმარებას საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირი (IRU) უზრუნველყოფს.

▲ GPS ლუქებით მონიტორინგის დისტანციური სისტემის დანერგვა

მიმდინარეობს რისკის შემცველი ტვირთების GPS ლუქებით მონიტორინგის დისტანციური სისტემის დანერგვა, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მონიტორინგს ელექტრონული ლუქების საშუალებით.

GPS ლუქების და შესაბამისი მონიტორინგის სისტემის მეშვეობით განხორციელდება გარკვეული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების (მაღალი რისკის შემცველი, კონტროლირებადი მიწოდების შემთხვევები და ა.შ.) ადგილმდებარეობისა და მარშრუტების მონიტორინგი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის მიერ შეძენილია შესაბამისი სპეციფიკაციების მქონე 132 GPS ლუქი, ტვირთების მონიტორინგის დისტანციური სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფის გადმოცემას კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უზრუნველყოფს.

▲ ATA წიგნაკის გამოყენების სტანდარტის დანერგვა

ATA წიგნაკის დანერგვით შესაძლებელი გახდება სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი საქონლის გადაადგილება და ამასთანავე, შესაბამისი გარანტიით უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნულ საქონელზე წარმოშობილი/წარმოსამობი საბაჟო ვალდებულებები. „ATA წიგნაკის“ შემოღებისათვის შემუშავებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები, რომლითაც განისაზღვრება აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება და შესაბამისი შემთხვევები. აღნიშნულთან ერთად, „ATA წიგნაკში“ მითითებული მონაცემების ელექტრონულად „ASYCUDA“-ს მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემაში ასახვისა და „ATA წიგნაკში“ საგადასახადო ორგანოს მიერ შესაბამისი აღნიშვნების გაკეთების წესის დამტკიცების მიზნით, შემუშავებულია ბრძანების ცვლილებების პროექტი. „ATA წიგნაკის“ დანერგვის შედეგად, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირებისთვის საბაჟო კონტროლის ღონისძიებები და საბაჟო ვალდებულებების შეუსრულებლობის პრევენცია გამარტივდება. ასევე, გამარტივდება საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება და საბაჟო ფორმალობებისთვის საჭირო დრო შემცირდება. გაჩნდება მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიებზე, დამატებითი დოკუმენტების შევსების, წარდგენისა და სხვა ფორმალობების გარეშე, ერთიანი დოკუმენტით საქონლის გადაადგილების შესაძლებლობა.

▲ საბაჟო ფორმალობებზე დახარჯული დროის ერონომიზაცია

2019 წელს, საბაჟო დეპარტამენტმა, საბაჟო საზღვრის კვეთისას და გაფორმების ფორმალობების დროს დახარჯული დროის გაზომვა, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით განახორციელა. კვლევის განხორციელების ადგილებად შეირჩა: საბაჟო გამშვები პუნქტი „ნითელი ხიდი“, „ფოთისა და ყულევის პორტები“, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“.

² Advance Passenger Information (API) and Passenger Name Record (PNR)

კვლევის შედეგებით პოზიტიური მაჩვენებლები ფიქსირდება. შემცირებულია:

- ▶ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში რიგში მოცდის საშუალო დროის მაჩვენებელი;
- ▶ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში მებაჟე ოფიცრისთვის წარდგენილი დოკუმენტის განხილვის საშუალო დრო;
- ▶ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში მებაჟე ოფიცრის მიერ დეკლარაციის შევსების საშუალო და მაქსიმალური დრო;
- ▶ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში დეკლარაციისათვის განსაზღვრული ყვითელი და წითელი დერეფნების დასრულების დრო;
- ▶ საბაჟო გამშვებ პუნქტში სატრანსპორტო საშუალების შემოსვლიდან, გასვლამდე განხორციელებულ საბაჟო ფორმალობებზე დახარჯული საშუალო და მაქსიმალური დრო იმპორტისა და ტრანზიტის შემთხვევაში;
- ▶ გემიდან კონტეინერის ჩამოტვირთვიდან პორტის ტერიტორიის დატოვებამდე საჭირო საშუალო დრო.

▲ გადასახადის გადამხდელთა ინფორმირება

საზღვრის მკვეთი პირებისა და გადასახადის გადამხდელთა საჭიროების გათვალისწინებით საინფორმაციო ბროშურა მომზადდა/განახლდა. მათი საშუალებით, მგზავრებს და ბიზნეს ოპერატორებს, საბაჟო მიმართულებით არსებული შეღავათების/აკრძალვების/შეზღუდვების, საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული პროცედურებისა და საქონლის გაფორმებისათვის საჭირო საბაჟო ფორმალობების შესახებ განახლებული ინფორმაცია მიეწოდება.





2019 წელს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CDA) და ჩეხეთის საბაჟო უწყების მხარდაჭერით განხორციელებული 2 წლიანი პროექტი „საქართველოს კინოლოგიის მომსახურების ეფექტიანობის და ხარისხის გაუმჯობესების“ დასრულდა. პროექტის ფარგლებში, ჩეხი ინსტრუქტორების ჩართულობით, ორ ეტაპად მოხდა ჩეხეთიდან ჩამოყვანილი 9 სამსახურებრივი ძაღლის წრთვანა. ძაღლების შერჩევისა და წრთვნის ფარგლებში, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჩეხეთის გამოცდილებას გაცნობოდნენ.

სექტემბრის თვეში, მოლდოვას რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, თამბაქოს ნაწარმის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში გამართულ, საბაჟო ადმინისტრაცი-

ების კინოლოგიური გუნდების მიერ გაწვრთნილი სამსახურებრივი ძაღლების შეჯიბრში, რომელშიც 17 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მთავარი კინოლოგ-ინსტრუქტორი რომან ნიკურაძე და სამსახურებრივი ძაღლი „ნელა“ მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

ინფრასტრუქტურული პროექტები

2019 წელს, საბაჟო გამშვები პუნქტის „სადახლო - საავტომობილო“ ტერიტორიაზე, გაიხსნა ახალი ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ევროპული სტანდარტების უნიკალური აპარატურით და განკუთვნილია ვეტერინარული, სანიტარიული, და ფიტოსანიტარიული კონტროლისათვის.



2019 წელს, საბაჟო გამშვები პუნქტის „კარნახი“ ტერიტორიაზე დასრულდა ცოცხალი ცხოველების კონტროლისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელიც სათანადო ინვენტარით ნაწილობრივ აღიჭურვა. ▼



2019 წელს, საქართველო-თურქეთის საზღვარზე, საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფი“ ტერიტორიაზე, მგზავრთა გადასასვლელი დერეფანი ოფიციალურად გაიხსნა. აშენდა თურქეთის რესპუბლიკიდან შემომავალი ვიზიტორების გვირაბი, მოსაცდელი დარბაზი, საზღვარზე არსებული მდინარის ჯებირი, აგრეთვე, გვირაბის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყო. ►►



2019 წელს, საბაჟო გამშვები პუნქტების „წითელი ხიდი“ მიმდებარედ არსებულ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტზე ცხოველთა სადგომი/კონსტრუქციის მოწყობა დასრულდა. ▼



საბაჟო გამშვები პუნქტების „სადახლო-საავტომობილო“ და „ლაგოდეხი“ ტერიტორიაზე 2 ახალი სპეციალური ავტოსადგომი „ტირ-პარკი“ გაიხსნა. ქვეყნის მასშტაბით, საერთო ჯამში ოპერირებს 12 ერთეული სპეციალური ავტოსადგომი, რომლებიც უზრუნველყოფს საზღვრებზე სატვირთო ავტომობილების რიგების ეფექტურ რეგულირებას. საბაჟო გამშვები პუნქტებთან მდებარე ავტოსადგომებზე არსებული რიგების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურის ვებ-პორტალზე, რაც საშუალებას აძლევს გადამზიდავ კომპანიებს ან მძღოლებს გადაზიდვის დრო და მარშრუტი წინასწარ დაგეგმონ. ▼





ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესების ერთ-ერთი ღირებული შედეგი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებაა, რომელიც გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ: სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). უმნიშვნელოვანესია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე პროექტები, მათ შორის საბაჟო მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის შორის საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობების გამარტივებას, საერთაშორისო ვაჭრობისთვის გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შექმნას, ასევე სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის გაუმჯობესებას და შესაბამისად, ერთი მხრივ, ქართული პროდუქციის ხარისხის და სანდოობის ამაღლებას მსოფლიო ბაზარზე, მეორე მხრივ კი ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას.

კონვენციებთან მიერთება

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ტექნიკური ნაწილის - „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) და ასევე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის „ასოცირების დღის წესრიგის“ ფარგლებით განსაზღვრული ვალდებულებების, კერძოდ, „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთებისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS) იმპლემენტაციის მიზნით, შემოსავლების სამსახურში, 2018 წლის მარტიდან ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დაძმობილების პროექტი - „ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC) კონვენციასთან მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვის ხელშეწყობა“ დაიწყო.

2019 წლის განმავლობაში, პროექტის განმახორციელებლად შერჩეულ იქნა ფინეთის, პოლონეთის და ლატვიის ქვეყნებისაგან შემდგარი კონსორციუმი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი უწყებებით: ფინეთის საბაჟო ადმინისტრაცია, პოლონეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ეროვნული შემოსავლების სამსახური და ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 1,5 მლნ ევრო, ხანგრძლივობა არის 24 თვე და სამი კომპონენტისაგან შედგება:

- ▶ საკანონმდებლო ბაზის განვითარება;
- ▶ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის შესწავლა/ადაპტირება;
- ▶ სამსახურის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების განვითარება და ცნობადობის ამაღლება.

▲ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი (AEO)

2019 წელს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემა დაინერგა. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ევროკავშირის მოდელის კონცეფცია ემყარება საბაჟო ორგანოსა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოებას. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მფლობელი ისარგებლებს სხვადასხვა სახის გამარტივებული შესაძლებლობებით და შედეგებით, კერძოდ:

- ▶ საბაჟო კონტროლისას და საქონლის გაფორმებისას საბაჟო სერვისებით უპირატესად სარგებლობის უფლება;
- ▶ გარკვეულ შემთხვევებში საბაჟო კონტროლის განხორციელება მის კუთვნილ ტერიტორიაზე;
- ▶ წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) შეტყობინება საქონლის ფიზიკური დათვალიერების გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, გარკვეულ შემთხვევებში გარანტიების წარდგენისაგან გათავისუფლება და სხვა;
- ▶ სხვა ქვეყნებთან დადებული ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებით განსაზღვრული შედეგებით გამოყენება, აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე;
- ▶ შემცირდება საბაჟო ფორმალობებისათვის საჭირო დრო.

საერთაშორისო ურთიერთობები

▲ ანგარიშგების სისტემის დანერგვა (BEPS)

საქართველო წარმოადგენს BEPS Inclusive Framework წევრ სახელმწიფოს, რაც ავალდებულებს დანერგოს მინიმალური სტანდარტი CBC Reporting, რომელიც წარმოადგენს მინიმალური სტანდარტის ნაწილს და გულისხმობს სახელმწიფოთა ვალდებულებას, ყოველწლიურად, ავტომატურ რეჟიმში გაცვალონ ძირითადი ინფორმაცია (აქტივების, თანამშრომლების, გაყიდვების, ქვეყნების მიხედვით გადახდილი გადასახადების, და სხვ.) მათ იურისდიქციაში შემავალი მულტინაციონალური საწარმოს (MNE) შესახებ, რომლის ჯგუფის ბრუნვა აღემატება 750 მილიონ ევროს. ვალდებულება მოიცავს ჯგუფის საქმიანობის შესახებ ძირითადი ინფორმაციის გაზიარებას, რომელსაც ეს ქვეყნები გამოიყენებენ ზოგადი რისკის მართვისა და ანალიზის მიზნებისთვის. შემოსავლების სამსახური აქტიურად არის ჩართული CBC-ის თემაზე სპეციალურად მომუშავე OECD-ის მე-6 და მე-10 ერთობლივ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში.



▲ საგადასახადო ადმინისტრაციის ფორუმი (FTA)

შემოსავლების სამსახური, საგადასახადო ადმინისტრაციის ფორუმის ფარგლებში, 2019 წელს შეურთდა ორ სამუშაო ჯგუფს, რომლის ფორმატში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. აღნიშნული ჯგუფები მოიცავს:

● საგადასახადო ადმინისტრაცია 2030

პროექტის ფარგლებში, შემუშავდება ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა საგადასახადო ადმინისტრაციების მიერ ცვლილებების საფეხურებრივად გასავლელად და შესაძლო გამოწვევების დასაძლევად.

● მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SMEs)

პროექტი მოიცავს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SMEs) კანონშესაბამისობის გაუმჯობესებას და მათთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას. ამ მიზნით ხორციელდება საგადასახადო ადმინისტრაციების, მცირე და საშუალო საწარმოების გამოწვევების შესწავლა და ახალი შესაძლებლობების შექმნა, როგორცაა ელექტრონული სერვისები, აპლიკაციები, საგადასახადო დეკლარაციების ავტომატური შევსება და ა.შ.

▲ სარტყელი და გზის ინიციატივა

2019 წლის 18 აპრილს, ჩინეთის რესპუბლიკაში გაიმართა სარტყელი და გზის ინიციატივის³ საგადასახადო ადმინისტრაციების თანამშრომლობის პირველი ფორუმი, რომლითაც დაარსდა სარტყელი და გზის ინიციატივის საგადასახადო ადმინისტრაციების თანამშრომლობის მექანიზმი და საგადასახადო ადმინისტრაციების შესაძლებლობათა გაძლიერების ჯგუფი. აღნიშნული მექანიზმი, მიზნად ისახავს „სარტყელი და გზის ინიციატივის“ ქვეყნებს შორის ახალი საგადასახადო თანამშრომლობის პლატფორმის შექმნას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აღნიშნულ მექანიზმს, როგორც დამფუძნებელი წევრი შეუერთდა.

▲ თანამშრომლობა იტალიის საგადასახადო ადმინისტრაციასთან

შემოსავლების სამსახურსა და იტალიის რესპუბლიკის საგადასახადო ადმინისტრაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავს შემდეგ საკითხებს: გადასახადების ადმინისტრირება, გადასახადების თავიდან არიდების წინააღმდეგ ბრძოლა, პერსონალის განვითარება და ტრენინგი, საერთაშორისო დაბეგვრა, საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასება (Transfer Pricing), კონტროლირებული ოპერაციების წინასწარი შეთანხმების პროცედურები (APA), ურთიერთშეთანხმების პროცედურები და ევროკავშირის კანონმდებლობა (acquis).

აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოსა და იტალიის საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის ხანგრძლივ ურთიერთობას, საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ საგადასახადო მოლოდინების გაზრდას და გადასახადის გადამხდელებისათვის სანდო გარემოს შექმნას. APA-ის დანერგვა, შექმნის საგადასახადო ორგანოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ახალ მექანიზმს და საერთაშორისო კომპანიების ნდობას საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმართ გაზრდის.

▲ შავი ზღვის ეკონომიკის რეგიონული შეხვედრა

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, შავი ზღვის რეგიონის რეგიონული შეხვედრა გაიმართა. რეგიონულ ფორუმზე განხილულ იქნა ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა მაღალი რისკის შემცველი ტვირთების გამოვლენის მიმართულება, შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების საბაჟო ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობა. ასევე, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაძლიერების საკითხები.



³ „სარტყელი და გზის ინიციატივა“ განვითარების სტრატეგიაა, რომელიც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ინვესტიციების განხორციელებას მსოფლიოს 152 ქვეყანაში.

პარტნიორი ორგანიზაციები




2019 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინსტიტუციონალურ განვითარებაში და განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ისეთი პარტნიორი ქვეყნების, საგადასახადო ადმინისტრაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერა, როგორებიცაა:

	ევროკავშირი		გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
	ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა		გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა		საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)
	კანადის მთავრობა		საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა- ევროპული ორგანიზაცია (IOTA)
	გერმანიის ფინანსთა სამინისტრო		მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (WB IFC)
	ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტრო		აშშ საელჩოს ექსპორტისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამა (EXBS)
	იტალიის შემოსავლების სააგენტო		აზიის განვითარების ბანკი (ADB)
	მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO)		ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CDA)
	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC)		აშშ ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)		ხარისხის ცენტრი ფინანსებში (CEF)
	სუამ-ი (GUAM)		საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაცია
	ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამა (CAREC)		
	ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)		


სტატისტიკური
მონაცემები



ინსტიტუციური მარკენაბლები




გაფორმებული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა



სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების საერთო რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 5%-ით. სულ გაფორმდა 312,566 სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის, 228,580 - იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში, ხოლო - 52,184 ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში.


წინასწარ დაბეჭდილი დეკლარაციების რაოდენობა



იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში წინასწარ დაბეჭდა დეკლარაციების 34,63%-ი.


წინასწარი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა 2019 წელს 9%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

სასაქონლო საბაჟო დეკლარაციებით გაფორმებული საქონლის ღირებულება (ლარი)




2019 წლის მდგომარეობით, 38,676,687,689 ლარის ღირებულების საქონელი გაფორმდა, 2018 წელს 36,805,953,969 ლარის, ხოლო 2017 წელს - 33,327,920,678 ლარის.

დარიცხული იმპორტის გადასახდელი (მლნ.ლარი)




2019 წელს, დარიცხული იმპორტის გადასახდელების რაოდენობამ - 5,032,656,876 ლარი შეადგინა, რომელიც 3% -ით მეტია 2018 წელთან შედარებით.

გამარტივებული საბაჟო დეკლარაციები (მათ შორის, საფოსტო გზავნილები)




2019 წელს, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა 4%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული მგზავრებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია




2019 წელს, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული მგზავრებისა და სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა გაზრდილია 8%-ით.

საფოსტო გზავნილების რაოდენობა




საფოსტო გზავნილების რაოდენობა 2019 წელს 19%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

წინასწარი გადაწყვეტილებები




სასაქონლო ექსპერტიზები




2019 წელს გაიცა - 77 წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის მიმართ სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ, 2 - საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ. ჩატარდა 14,845 სასაქონლო ექსპერტიზა.

წარმოშობის სერტიფიკატები




შემოსავლების სამსახურის მიერ, 2019 წელს გაიცა 40,551 წარმოშობის სერტიფიკატი, მათ შორის, 29,059 პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1, 4,368 წარმოშობის პრეფერენციული სერტიფიკატი EUR.1, მათ შორის, 2,854 - გაცემულია ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის ექსპორტის შემთხვევაში, 812 - საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი გაცემულია ჩინეთთან შეთანხმების ფარგლებში, 85 - პრეფერენციული წარმოშობის „ფორმა A“ სერტიფიკატი და 2 პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი ჰონგ-კონგ, ჩინეთთან შეთანხმების ფარგლებში.


ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნებართვები



არაიოდირებული მარილის იმპორტის ნებართვა




რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რაოდენობა




სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლი


სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისას ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული ნიმუშები და გამოვლენილი დარღვევები




ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული კომპონენტების შემცველობის კვლევის მიზნით ლაბორატორიაში გაგზავნილი ნიმუშები და დადასტურებული შემთხვევები




სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული ნებართვები და სერტიფიკატები





საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი




საბაჟო მიმართულებით გამოვლენილი სამართალდარღვევები

2019 წელს, საბაჟო მიმართულებით გამოვლინდა - **28,147** სამართალდარღვევის ფაქტი, **20,867** საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ - **22,239,297** ლარი შეადგინა, ხოლო 6918 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ - **1,177,106** ლარი შეადგინა.

სამართალდარღვევები


გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია **35%-ით**.

2017 წელი




■ საბაჟო სამართალდარღვევა
■ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
■ საგამომიებო ორგანოსთვის გადაცემული

2018 წელი



■ საბაჟო სამართალდარღვევა
■ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
■ საგამომიებო ორგანოსთვის გადაცემული



2019 წელი




■ საბაჟო სამართალდარღვევა
■ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
■ საგამომიებო ორგანოსთვის გადაცემული

ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაში ნაჩვენებია სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, იარაღის, ძვირფასი ლითონების და სიგარეტის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების რაოდენობა.


საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გამოვლენილი სამართალდარღვევები (ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, ძვირფასი ლითონები და ქვები, იარაღი, სიგარეტი)



კინოლოგიური შემოწმების შედეგად, სამსახურებრივი ძალებით აღმოჩენილი სამართალდარღვევების რაოდენობა



სკანერით შემოწმებული სატრანსპორტო საშუალებები და გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა



2019 წელს, სკანერით შემოწმებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა გაზრდილია **23%** -ით.



სატრანსპორტო საშუალებების დასკანერების შედეგად გამოვლინდა სამართალდარღვევის **289** ფაქტი, ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულმა თანხამ - **216,034** ლარი შეადგინა.

2019 წელს მებაჟე ოფიცრების მიერ
ერთჯერადად გამოვლენილი

მნიშვნელოვანი სამართალდარღვევის ფაქტები

ამოღებული ნივთიერება/საგანი	საზომი ერთეული	რაოდენობა
ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა	კგ.	19,5
ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა	კგ.	23,2
ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა	კგ.	16,8
ნარკოტიკული საშუალება კოკაინი	გრამი	500
ნარკოტიკული საშუალება კოკაინი და ჰაშიში	გრამი	149 და 64
არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები	გრამი	1116,31
არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები	გრამი	1205,86
არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები	გრამი	1330
არადეკლარირებული ვერცხლის ზოდები	გრამი	22 900
არადეკლარირებული სიგარეტი	ცალი	24 000
არადეკლარირებული სიგარეტი	ცალი	22 180
არადეკლარირებული სიგარეტი	ცალი	19 180
არადეკლარირებული სიგარეტი	ცალი	14 800

კონტეინერების კონტროლის პროგრამა

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი პროექტის – კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

ამოღებული ნივთიერება/საგანი	საზომი ერთეული	რაოდენობა
მეტადონი	გრამი	10
კოკაინი	გრამი	2
კოკაინი	კგ.	1
მეტადონი	გრამი	52
იარაღი	ცალი	16
ჰაშიში	გრამი	3
ყალბი პასპორტი	ცალი	1
დაუდეკლარირებული ვალუტა	დოლარი	40,000
დაუდეკლარირებული ვალუტა	დოლარი	20,000

სუბოქსინი (დასაკრავი ფირფიტები)	ცალი	10
ოპიუმი	კგ.	2
ოპიუმი	კგ.	2
ჰაშიში	გრამი	296
სიგარეტი	კოლოფი	22280
MDMA	გრამი	28,6
ჰაშიში	გრამი	193
ფენტანილი (დასაკრავი ფირფიტები)	ცალი	10
ლირიკა (პრეგაბალინი)	აბი	102
ყალბი პასპორტები	ცალი	2
ოქროს ნაკეთობები	გრამი	1330

▲ საგადასახადო აუდიტის და მონიტორინგის შედეგები

აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2019 წელს დასრულდა 4,847 საგადასახადო შემოწმება:

- ▶ გასვლითი - 333 საგადასახადო შემოწმება, დარიცხული თანხა 229,17 მლნ.ლარი. (ძირითადი - 148,87 მლნ.ლარი; ჯარიმა - 80,30 მლნ.ლარი);
- ▶ სრული კამერალური - 1551 საგადასახადო შემოწმება, დარიცხული თანხა 900,10 მლნ.ლარი. (ძირითადი - 412,74 მლნ.ლარი; ჯარიმა - 487,37 მლნ.ლარი);
- ▶ თემატური კამერალური - 2963 საგადასახადო შემოწმება, დარიცხული თანხა 177,39 მლნ.ლარი (ძირითადი - 82,74 მლნ.ლარი; ჯარიმა - 94,65 მლნ.ლარი).

	2019			
ტიპი	რაოდენობა	სულ	ძირითადი	ჯარიმა
გასვლითი	333	229.17	148.87	80.3
კამერალური	1551	900.1	412.74	487.36
თემატური	2963	177.39	82.74	94.65
სულ	4847	1 306.66	644.35	662.31

დასრულებული 4847 საგადასახადო შემოწმებიდან სულ დარიცხულმა თანხამ შეადგინა 1 306,66 მლნ.ლარი.


საგადასახადო შემოწმების აქტით 196 გადამხდელს შეუმცირდა 13 მლნ.ლარი.

2019 წელს, 3,796 გადასახადის გადამხდელს დაუბრუნდა - 259,78 მლნ.ლარი (მათ შორის, დღგ-ის თანხა - 252,84 მლ.ლარი დაუბრუნდა 915 გადამხდელს). 2019 წელს შესწავლილ იქნა - 10,357 დეკლარაცია.




საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი


საქონლის ტრანსპორტირებისას ზედნადების გადამოწმების რაოდენობა - 76,098 ერთეული; დაჯარიმებულთა რაოდენობა - 7,997; ჯარიმის თანხა - 5,230,100 ლარი; 90 გადასახადის გადამხდელზე შემდგომი შესწავლის მიზნით, სათანადო მასალები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გადაიგზავნა.




დანეყებული ინვენტარიზაცია - 4,403 (მათ შორის, სრული - 1,084, შერჩევითი - 3,319); დასრულებულია - 4,245 (მათ შორის - 940 სრული, შერჩევითი - 3,305); სანქცია - 23,009,125 ლარი (მათ შორის, სრული - 22,234,944 ლარი, შერჩევითი - 774,181 ლარი).




საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის, კონტროლის პროცედურა განხორციელდა - 89,011; გამოვლენილი სამართალდარღვევა - 29,717 (მათ შორის გაფრთხილება - 26,673); სანქცია - 594,000 ლარი.




ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით შედგენილია - 3,552 ცალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.





დაწყებული და დასრულებული ექსპერტიზის შედეგები





საგადასახადო კოდექსის 241-ე და 244-ე მუხლებით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები






- ▶ 2019 წელს, საქართველოს საბაჟო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის შესაბამისად, 1,183 გადამხდელს - 190 777 138.50 ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერა;
- ▶ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სანებართვო მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში გადახდილია - 64 239 234 ლარი, ხოლო სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით - 128 233 637 ლარი.




2019 წელს არაალკოჰოლურ სასმელზე გაცემული არააქციზური
მარკების რაოდენობა (მატერიალური, არამატერიალური)


■ მატერიალური ■ არამატერიალური




2019 წელს ლუდზე გაცემული აქციზური მარკების შესახებ
(ადგილობრივი, იმპორტი) ჯამური ინფორმაცია



ინფორმაცია 2019 წელს ადგილობრივ და იმპორტულ
თამბაქოზე გაცემული აქციზური მარკების შესახებ



უბნის ოფიცერთა სამმართველოს მიერ ობიექტების აღწერა



შრთიერთობა მარტოვია

032 2 299 299

ბორბასლის ქ. N16, 0114

info@rs.e

www.rs.ge



032 2 299 299
ბორბასლის ქ. N16, 0114
info@rs.ge
www.rs.ge